ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 49 (1334) 19-25 დეკემბერი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთი წლის წინ, 22 დეკემბერს დაწყებული „საომირო“ საქმეთა კადრები



## ჩვენ და ჩვენი პარლამენტი

# „დავწვი თქვენი სამართალი, თქვენი კანონდებულება“ ანუ როგორ ეცადნენ რიგი პარლამენტარები უკანონობის დაკანონებას!..

ჩვენს დიდებულ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს რუსეთის ერთი იმპერატორის პორტრეტზე გაუკეთებია წარწერა:

დავწვი შენი სამართალი,
შენი კანონდებულება,
შენი ადგილ-მამულები,
შენი მირონცხებულება.

ეს სიტყვები გაგვახსენა ხუთშაბათს პარლამენტის დილის სხდომაზე გამართულ დისკუსიაში მონაწილე რამდენიმე დეპუტატის განცხადებამ.

იხილებოდა საკითხი დეპუტატის სტატუსის შესახებ.

სათაურად გამოტანილი ფრაზა იმ დეპუტატებს ეხება, რომელთაც დეპუტატის განუსაზღვრელი სტატუსის, ანუ უკანონობის დაკანონება სურდათ და არა, ვთქვათ, **ივლიანე ხაინდრავას, ქართლოს ღარიბაშვილს და სხვებს**, რომელნიც ყელგამოწეულნი ითხოვდნენ, კანონმდებელნი უკვე მიღებულ კანონს ნუ დავარღვევთო.

რაკი მილიონობით ამომრჩეველი ამ გაჭირვების ჟამს, სარჩო-საბადებლის საშოვნელად გასული, ტელეეკრანებს ვერ იქნებოდა მიჯაჭვული, ორიოდე სიტყვით განვმარტავთ რაზეა საუბარი.

დავიწყოთ მცირე ექსკურსით.

ბოლო ხანებში კანონები ან ბრძანებები საქართველოში იწერება და იცემა იმის მიხედვით, თუ რამდენადაა მისადაგებული პიროვნების ან ცალკეულ პიროვნებათა ინტერესებს.

ასე მაგალითად, ყველას გახსოვთ ბრძანება ამნისტიის გამოცემის შესახებ, მაგრამ, არა მგონია, ვინმეს ახსოვდეს ხალხისთვის ეკითხათ-სურდათ თუ არა ამ ძალადმაცხონე ჰუმანური აქტის თავსმოხვევა. რამდენიმე თუ ერთმა კაცმა მოისურვა და კანონი ამნისტიის შესახებ გამოცხვა...

რესპუბლიკის დამნაშავეთა რიგები ოპერატიულად შეივსო...

სახელმწიფო საბჭოს დროში (აღარაფერს ვამბობთ სამხედრო საბჭოს მმართველობის პერიოდზე) კურიოზები ბევრი მომხდარა, მაგრამ შეუდარებელი იყო კანონის „პატივისცემის“ თვლსაზრისით საარჩევნო დებულების მიღების პროცესიც.

(გაგრძელება მე-2 გვ.)



# ვეთანხმები აქ გამოსული ამხანაგების მოსაზრებებს, სიტყვებს, თვალსაზრისებს...

გაგახსენდათ ალბათ, ამ შინაარსის ფრაზას კინოფილმ „ცისფერი მთების“ ერთი პერსონაჟი ამბობს. შიგადაშიგ ჩვენი პარლამენტარებიც. გამოვა სოლიდური კაცი მჭმუნვარე, დაფიქრებული სახით და მთელი სერიოზულობით განაცხადებს.

რადგან რეგლამენტი არ მაძლევს საშუალებას, მინდა 3 წუთში ჩავეტიო და დავეთანხმო აქ გამოსული კოლეგების: ამის, იმის და მაგის აზრსო.

ამოწურავს „თანხმობის“ 3 წუთს და ვალმოხდილი სცილდება მიკროფონს. დალოცვილო, თუ სხვა არაფერი გაქვს სათქმელი, კენჭისყრის დროს ხმის მიცემა არ მიცემა სწორედ თანხმობის ან წინააღმდეგობის გამოსახატავად არ არის გათვალისწინებული?

ამომრჩეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ და ჩვენი პარლამენტი

## „დაწვი თქვენი სამართალი, თქვენი კანონდებულება" ანუ როგორ ეცადნენ რიგი პარლამენტარები უკანონობის დაკანონებას!..

დასასრული

ქვეყნის მაშინდელმა უმაღლესმა ორგანომ ჯერ იყო და მიიღო კანონი არჩევნების შესახებ, სადაც ჩაწერეს, ამ კანონის შეცვლა აწი, ამას იქით, არჩევნების დამთავრებამდე, მამა ღმერთმა რომ მოინდომოს, მაინც არ შეიძლებაო.

მაგრამ...

გავიდა რამდენიმე დღე და პარტიების წარმომადგენლები აჩურჩულდნენ ეს ჩვენი მიღებული კანონი ჩვენს ინტერესებთან შესაბამისობაში რაღაც ვერ მოდისო.

მაგის დარდს ვერ შევაჭმევინებთო — თქვეს და საქმე მარტივად გადაწყვიტეს.

რამდნიმე დღეში ძველი უარყვეს და ახალი კანონი დააკანონეს. შეცვლას, პირობისამებრ არ შეიძლებოდა, მაგრამ...

კანონმდებელნი მაშინ ისინი იყვნენ და ვინ ან რა შეუშლიდათ ხელს.

ვუყურებდით იმ კურიოზებს ეს უბრალო, არაკანონმდებელი ხალხი და ვფიქრობდით — ეს სახელმწიფო საბჭო თავად არის უკანონო, მალე ჩაილურის წყალს დალევს, მოვა ახალი ხელისუფლება, ხალხის ნებით არჩეული კანონიერი ორგანო და ამ კურიოზებსაც ბოლო მოეღებაო.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, — ამაზეა ნათქვამი.

ეტყობა მიჩვეულის გადაჩვევა, მართლა ძნელია.

კანონიერი ორგანო რომ აირჩა, იმ საარჩევნო კანონში ეწერა — დეპუტატი დეპუტატი უნდა იყოს და სხვა სახელმწიფო თანამდებობებს უნდა შეელიოს. თუ ჩინოვნიკობა გინდათ, კენჭს ნუ იყრით, რადგან გადეპუტატების შემთხვევაში ამ ჩინოვნიკობას დაჰკარგავთო.

ზოგ-ზოგებმა დაიჯერეს ეს ამბავი და აღარ გაუწიათ გულმა საარჩევნო მარათონისაკენ.

შესაძლოა, შემცდარნი აღმოჩნდნენ კანონს მინდობილი ასეთი ადამიანები, რადგან — როგორც ითქვა, ხუთშაბათს, დილის სხდომაზე იყო სერიოზული მცდელობა კვლავ გადაესინჯათ არსებული კანონი დეპუტატის თანამდებობრივი მდგომარეობის შესახებ.

საგანგებო ვითარებაში და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც შეიძლება ვიყოთ და საკანონმდებლოშიცო, — გაიძახოდნენ ერთნი.

რა გაუჭირდა საქართველოს ისეთი,რომ დეპუტატის გარდა თანამდებობაზე დასანიშნი კაცი ვერ მოიძებნოს?

თქვე დალოცვილებო, ყოველ მეორე ქართველს პრეზიდენტობა აქვს შეთვალებული და პატარ-პატარა ჩინოვნიკების გამოძებნა გაგვიჭირდება?

არაო, დეპუტატობა შეგვინარჩუნეთ და სადაც დავინიშნებით იქ ხელფასს არ ავიღებთო, ასეთ გენიალურ გამოსავალზეც ფიქრობენ ჩვენი რჩეულნი ზოგ-ზოგნი, რაღა თქმა უნდა.

უმორჩილესად ვთხოვთ პარლამენტს, ამის დაშვებას ისევ ის სჯობს, ვინც სახელმწიფო სამსახურში წავა ხელფასიც დაუნიშნოთ და თუ ძველი დებულება შეიცვალა, ანუ თუ კანონი დაირღვა, ანუ კაცი დეპუტატიც თუ იქნა და ჩინოვნიკიც ხელფასი აქაც, პარლამენტშიც მისცეთ და იქაც, თორემ იქ სულ წახდება საქმე...

ამომრჩეველი

## „დაბრიყვებული" სპიკერი...

„არც სიმდიდრით, არც ქონებით" პარლამენტის სპიკერი რომ ცნობილი კაცი არ არის, ეს ვიცით. მაგრამ „ჭკუით და გონებით" რომ სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ ჩანს, ესეც ნათელია.

მიუხედავად ამისა, ვისაც არ ეზარება, ყველა სპიკერს უტარებს აღმზრდელობით გაკვეთილებს...

ადგება პარლამენტარი და განტევების ვაცის ძიებაში უცებ სპიკერს დაადგამს თვალს...

სპიკერი „ხარ და ხამს"...

სპიკერი „ხარ და გმართებს"...

„გმადლობთ," — მორჩილად იღებს შენიშვნებს უსაზღვროდ „მადლიერი „სპიკერი.

თავდაცვითი პოზიციები, ეტყობა, მასაც მოსწყინდა და ამ ბოლო დროს არცთუ მთლად მართებული შენიშვნების გამო, რამდენიმე წარმატებული კონტრშეტევა განახორციელა...

მაგრამ ხუთშაბათის სხდომაზე, დღის მეორე ნახევარში, როგორც იტყვიან, ყველაფერი წყალში ჩაყარა.

ორმოცდახუთმა პარლამენტარმა სთხოვა სიტყვა.

ორმოცდახუთივე გამოვიდა სიტყვით.

მიტინგებს მოწყურებულმა მაყურებელმა იხილა სატელევიზიო მიტინგი, მაგრამ ორას ოცდასამივე დეპუტატს რომ მოეთხოვა გამოსვლა, რამდენ სერიან მიტინგს ვნახავდით მაშინ?

არადა, კაცი არ ჩანდა მთქმელი იმისა, რომ პარლამენტის ტრიბუნიდან საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის კითხვა უხერხულია.

ამომრჩეველი

## როცა მღვდელს ალილუია ორჯერ ეშლება

ნათქვამია, ერთი ალილუია მღვდელსაც ეშლებაო. ერთიო, იმიტომ ამბობს ანდაზა, რომ მექანიკური შეცდომისაგან არავინ არის დაზღვეული, მაგრამ ორი და მეტი რომ შეგეშლება, იქ უკვე ან არცოდნასთან გვაქვს საქმე, ან შეგნებულ შეცდომასთან.

ერთმა დეპუტატმა პარლამენტის სხდომაზე ორგზის რომ გაიმეორა „ედუარდ ამბროსოვიჩო", ეს უნებლიედ არ დამართნია.

არადა, შეგნებულად, სახელმწიფო მეთაურის გასალიზიანებლად, იგი ამას არ იტყოდა. (პირიქით, მეტისმეტი მოკრძალების გამო მოუვიდა).

ვერც იმას დავწამებთ, არ იცოდეს, ქართულად როგორ წარმოითქმის სახელი და მამის სახელი.

ქართველები რომ მამის სახელით არ მივმართავთ ერთმანეთს, იმ კაცს ესეც ეცოდინება.

მაშ, რად გაუჭირვე საქმე იმ კაი დედმამიშვილს, სწორედაც უნებლიედ შეცდომა მოსვლია და რა საგაზეთოდ გამოსაჭენებელი ეგ ამბავი იყოო, — იკითხავს მკითხველი.

კი იყო გამოსაჭენებელი და, აი, რატომ...

მაგალითად, ირაკლი წერეთელს ან ირაკლი მელაშვილს ან ირაკლი შენგელაიას ასეთი რამ არ წამოსცდებათ, იმიტომ კი არა, რომ ედუარდ შევარდნაძეს იმ დეპუტატზე მეტ პატივს სცემენ, არამედ იმის გამო, რომ მათ თავი 90-იანი წლების ქართულ პარლამენტში ჰგონიათ, რომელსაც მართავს საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული ბატონი ედუარდ შევარდნაძე. იმ დეპუტატს კი — 70-იანი წლების ცკას პლენუმზე, რომელსაც მართავდა მოსკოვიდან დანიშნული ედუარდ ამბროსოვიჩი.

ხოლო დეპუტატი სად ზის და სად ჰგონია თავი, ეს უბრალო ამბავი არ გახლავთ...

ამომრჩეველი

## ზვიადისტები და «იბერია სპექტრი»

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამსახურდიას ხელისუფლება მთელი თავისი ნამოღვაწარით ისტორიის კუთვნილება გახდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი სასიკეთო გაკეთდა, ბევრი ცოდვის დღეც დატრიალდა. თანდათან დავიწყებას მიეცა ყოფილ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ინტრიგები თუ მიტინგები, ჰეშლილი სახეები და პოლიტიკური ისტერიები. ცხოვრებამ კალაპოტი შეიცვალა და ბუნებრივია, ქვეყნის წინაშე ახალი პრობლემებიც დადგა.

ასეთ ვითარებაში ბევრი რამ შეიცვალა. გამოიცვალნენ თვით ორთოდოქსი ზვიადისტებიც და მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო მაგარი ზვიადისტები გახდნენ, რადგან აი, მთელი ერთი წლია სრულიად უსახორ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ხოლო, თუ გაზეთ „იბერია სპექტრს" დავუჯერებთ და არა უკანასკნელი არჩევნების შედეგებს, დღეს მრავალი არაზვიადისტიც კი ზვიადისტი ხდება. ე.ი. ახალი და ახალი ადამიანები ეზიარებიან უსასობას და პოლიტიკურ ობლობას.

და მიუხედავად ამისა, ჩვენი ნახევრად სამხედრო, ნახევრად დემოკრატიული მდგომარეობა ბევრს თუ ვერაფერს, სიტყვის თავისუფლებას მაინც იძლევა, და ეს უფლება იმდენად შეუზღუდავად გამოიყენება, საქმე ზოგჯერ სამხედრო საიდუმლოებათა გამხელამდეც მიდის.

ასეთ დროს კი უხერხულიცაა უკმაყოფილება გამოთქვა, რაიმე სკანდალური ან თუნდაც ზედმეტად თავაშვებული საგაზეთო სტატიის გამო, და ჩვენც არაფერს ვიტყოდით, რომ არა ერთი მავნე ტენდეცია, რომელიც „პრესის თავისუფლებასაა" ამოფარებული.

გაზეთ „იბერია სპექტრის" 58-ე ნომერში გამოქვეყნდა რამდენიმე მცირე ინფორმაცია საერთო სათაურით „Вести из Сухуми" მოგვყავს ციტატა:

После долгого, вынужденного перерыва из Сухуми в Тбилиси отправился пассажирский поезд. Сообщения о том, будто он в районе станции Ингири был ограблен местными бандитами, оказалось дезинформацией. Как нам стало известно, поезд был действительно остановлен вооруженной группой, но только для досмотра, в результате которого у ряда пассажиров было изъято незарегистрированное оружие. После этого состав был беспрепятственно пропущен дальше.

მისასალმებელია ამ გაზეთის ოპერატიულობა, „დეზინფორმაციას" ასე კვალდაკვალ რომ „მიაგნო" და „გამოამზეურა", მაგრამ ერთი შეხედვით ეს „უპრეტენზიო" ინფორმაცია ისეა დაწერილი, რომ „დეზინფორმაციის" ავტორებს ბოროტმოქმედებათ მოგაჩვენებთ და შეიარაღებულ ბანდას კი მგალობელ ფრინველებად.

საერთოდ, თუ იცის ამ ინფორმაციის ავტორმა, რომ როცა ერთი ავაზაკი მეორეს ართმევს, ამასაც ძარცვა ჰქვია. ასეთ ძარცვას კი მშვიდობიანი მგზავრების თანდასწრებით შეიძლება გაუთვალისწინებელი ან, უკაცრავად გამოთქმისთვს, ფეხზედაკიდებული შედეგები მოჰყვეს, რომ არაოფიციალურ შეიარაღებულ ჯგუფს საერთოდ არა აქვს მატარებლის გაჩერებისა და შემოწმების უფლება. თუ წარმოუდგენია რედაქციას რას უნდა მოხმარდეს ამ წესით „ამოღებული" იარაღი. იქნებ ისევ ძარცვასა და ხიდების აფეთქებას, იმ ხიდებისა, რომლებზეც ხვალ შეიძლება ჩვენი დაჭრილი ჯარისკაცები იქნან გადასაყვანი.

გასაოცარია გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის „აღმოჩენა", მაგრამ უფრო გასაოცარი ისაა, რომ „აღმოჩენამ" აღაფრთოვანა და ბანდიტურ აქციას არარეგისრირებული იარაღის ამოღებას უწოდებს.

გასაგებია, რომ ყველა გაზეთს თავისი მკითხველი ჰყავს და გაზეთიც მკითხველის მოთხოვნის შესაბამისად მუშაობს, მაგრამ იმ თქვენი მკითხველებისა არ იყოს, ძველ რომშიც ჰქონდათ ასეთი გამოთქმა: Aut Caesar, aut nihil — ან კეისარი, ან არაფერიო, მაგრამ არცერთ ღირსეულ რომაელს რომი აცერთი კეისრისთვის არ გადაუყოლებია.

ვახტანგ კომახიძე

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სოციალური მართვის ცენტრი

# სახელმწიფო, პარტიული და საზოგადო მოღვაწეთა რეიტინგი

(საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები)

ქ. თბილისი

1-3 დეკემბერი, 1992 წელი

გამოკითხულთა საერთო რაოდენობა — 691 რესპოდენტი

გამოკვლევამ მოიცვა ქალაქ თბილისის:

— საწარმოო სფეროს 25 ობიექტი
— მომსახურების სფეროს 11 ობიექტი
— ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის სფე-როს 22 ობიექტი
— მმართველობითი ორგანოების 8 ობიექტი
— 182 საცხოვრებელი ბინა

# თქვენ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!... ჩვენ ხელი დაგვიბანია...

ამ გამოკითხვის შედეგები მთავრობის სოციალური მართვის ცენტრიდან კი ასე წარმოგვიდგინეს:

### პოპულარობის რეიტინგი (პროცენტი)

1-3 დეკემბერი, 1992 წელი

1 ედუარდ შევარდნაძე 96.62
2 ნოდარ ნათაძე 95.60
3 აკაკი ასათიანი 93.44
4 ჯაბა იოსელიანი 92.99
5 ვალერიან ადვაძე 91.70
6 ირაკლი წერეთელი 91.70
7 ელდარ შენგელაია 91.55
8 ვაჟა ადამია 91.10
9 ირინა სარიშვილი 90.96
10 გიორგი ხაინდრავა 90.96
11 ალექსანდრე კავსაძე 89.95
12 გიგა ლორთქიფანიძე 89.94
13 თამაზ გამყრელიძე 89.65
14 ირაკლი შენგელაია 89.09
15 თედო პაატაშვილი 88.35
16 ასლან აბაშიძე 85.58
17 ივლიანე ხაინდრავა 84.57
18 ვახტანგ გოგუაძე 83.55
19 ზურაბ ჟვანია 78.46
20 თამაზ ნადარეიშვილი 74.97
21 რუსუდან ბერიძე 71.05
22 ზაზა სიხარულიძე 66.68
23 თენგიზ ბუაჩიძე 64.37
24 დავით ბერძენიშვილი 62.91
25 ვახტანგ რჩეულიშვილი 57.68
26 თემურ ჟორჟოლიანი 55.65
27 გურამ მუჩაიძე 54.63
28 თენგიზ გაზდელიანი 33.99

### კეთილგანწობილების რეიტინგი (პროცენტი)

1-3 დეკემბერი, 1992 წელი

1 ედუარდ შევარდნაძე 80.80
2 ნოდარ ნათაძე 74.11
3 თამაზ გამყრელიძე 70.34
4 გიორგი ხაინდრავა 61.47
5 თედო პაატაშვილი 57.99
6 ალექსანდრე კავსაძე 51.30
7 ზურაბ ჟვანია 51.15
8 ირაკლი შენგელაია 50.58
9 ირინა სარიშვილი 50.57
10 თამაზ ნადარეიშვილი 50.13
11 ელდარ შენგელაია 46.79
12 ივლიანე ხაინდრავა 46.79
13 ირაკლი წერეთელი 43.02
14 ვახტანგ გოგუაძე 39.96
15 ზაზა სიხარულიძე 39.81
16 გიგა ლორთქიფანიძე 39.38
17 ასლან აბაშიძე 36.62
18 აკაკი ასათიანი 36.62
19 ვალერიან ადვაძე 35.31
20 ვაჟა ადამია 33.71
21 თენგიზ ბუაჩიძე 32.41
22 დავით ბერძენიშვილი 29.35
23 ვახტანგ რჩეულიშვილი 26.88
24 ჯაბა იოსელიანი 26.58
25 რუსუდან ბერიძე 24.84
26 თემურ ჟორჟოლიანი 17.87
27 თენგიზ გაზდელიანი 10.75
28 გურამ მუჩაიძე 7.55

განმარტება: კეთილგანწყობილების რეიტინგი (პროცენტობით) წარმოადგენს რესპოდენტთა მიერ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობის „სრულიად დადებითად“ და „ძირითადად დადებითად“ შეფასებების პროცენტული გამოხატულების ჯამს.

### კეთილგანწყობილების რეიტინგი (ბალი)

1-3 დეკემბერი, 1992 წელი

1 ედუარდ შევარდნაძე 82.31
2 ნოდარ ნათაძე 77.12
3 თამაზ გამყრელიძე 76.17
4 გიორგი ხაინდრავა 71.17
5 თედო პაატაშვილი 68.34
6 თამაზ ნადარეიშვილი 66.55
7 ზურაბ ჟვანია 65.28
8 ირაკლი შენგელაია 64.52
9 ალექსანდრე კავსაძე 64.50
10 ირინა სარიშვილი 63.71
11 ივლიანე ხაინდრავა 63.14
12 ელდარ შენგელაია 62.63
13 ზაზა სიხარულიძე 62.30
14 ვახტანგ გოგუაძე 59.24
15 ირაკლი წერეთელი 59.14
16 თენგიზ ბუაჩიძე 58.81
17 გიგა ლორთქიფანიძე 57.43
18 დავით ბერძენიშვილი 56.20
19 ვახტანგ რჩეულიშვილი 56.19
20 ასლან აბაშიძე 55.84
21 ვაჟა ადამია 54.72
22 აკაკი ასათიანი 54.32
23 ვალერიან ადვაძე 53.62
24 თემურ ჟორჟოლიანი 52.60
25 რუსუდან ბერიძე 52.44
26 თენგიზ გაზდელიანი 52.16
27 გურამ მუჩაიძე 44.91
28 ჯაბა იოსელიანი 43.79

განმარტება: კითხვარის მიხედვით მოღვაწეთა საქმიანობა ფასდება: „სრულიად დადებითად“; „ძირითადად დადებითად“; „არც დადებითად, არც უარყოფითად“; „ძირითადად უარყოფითად“ „სრულიად უარყოფითად“. ყველა მათგანს შესაბამისად ენიჭება ბალები: 100; 75; 50; 25; 1. რესპოდენტთა მიერ გაცემული პასუხების რაოდენობის მიხედვით გამოითვლება საშუალო ბალი.

### პარტიებისა და პოლიტიკური ბლოკების რეიტინგი

1-3 დეკემბერი, 1992 წელი

პასუხი შეკითხვაზე — „რომელი პარტიისა და პარტიათა ბლოკის წარმომადგენლები გამოხატავენ უფრო მეტად მოსახლეობის ინტერესებს ?“

1 საარჩევნო ბლოკი „11 ოქტომბერი“ 50.87
2 საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა“ 36.77
3 საქართველოს მწვანეთა პარტია 34.59
4 საარჩევნო ბლოკი „ერთობა“ 28.77
5 ქარტია — 91 23.54
6 ეროვნულ — დემოკრატიული პარტია 22.52
7 საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი 12.79
8 ილია ჭავჭავაძის საზოგადოება 11.48
9 სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება 10.17
10 ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი 8.86
11 დემოკრატიული პარტია 5.81
12 საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია 4.65
13 საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი 3.77
14 საქართველოს სახალხო პარტია 2.76
15 სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი 2.47
16 საქართველოს სოციალ — დემოკრატიული პარტია 2.32
17 საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება 2.32
18 საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი 2.18
19 საქართველოს კონსტიტუციურ — დემოკრატიული პარტია 2.03
20 საარჩევნო ბლოკი — საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია, მთიელთა პოლიტიკური კავშირი 1.16
21 საქართველოს ქრისტიანულ — ლიბერალური პარტი:

# უჭირს საქართველოს! გადავარჩინოთ საქართველო!...

უზარმაზარი რუსეთის იმპერიის დაშლამ, სამწუხაროდ, ისე არ ჩაიარა, რომ საქართველოში სისხლი და ნგრევა არ გამოეწვია. წინასწარმეტყველური გამოდგა ჩვენი ჭკვიანი თანამემამულეების გაფრთხილებანი-ფრთხილად ვიყოთ იმპერიის მსხვრევას ყოველთვის მოსდევს კატაკლიზმები და ჩვენ არ მოვყვეთ ამ ნამსხვრევებშიო. მაგრამ, აბა, რისი ქართველები ვიქნებოდით, ჭკვიანთა რჩევა-დარიგებანი რომ გაგვეთვალისწინებინა, სწორედ მაშინ ავიშალენით, როდესაც უფრო მეტი სიდინჯე და თავშეკავება იყო საჭირო, მაშინ გაგვახსენდა ურთიერთწყენანი და სამდურავნი; სიტყვით რომ მაგრად მივთათხეთ ერთმანეთი, შემდეგ ესეც არ ვიკმარეთ, ზარბაზნებიც დავუშინეთ ურთიერთს და ნაცარტუტად ვაქციეთ ასე ნალოლიავები თბილისის გული.

ასეთ ყოფაში ჩავარდნილებს მტერი რალას დაგვინდობდა, ერთმა მარცხნივ მოიკიდა საქართველო, მეორემ კიდევ მარჯვნივ. გაწიეს და გამოწიეს, როდის სად გაწყდება ვინ იცის; ვერც ამან გვასწავლა ჭკუა, თბილისი ხომ ჩვენია, უხელმძღვანელოდ ხომ არ დარჩებაო და არის ერთი გნიასი და ორომტრიალი თანამდებობებისა და პრივილეგიების, ჯამაგირებისა და ჯინჯილების დასანიშნად.

უჭირსო საქართველოს, მაგრამ ვის უჭირს და ვის კიდევ ულხინს. ბრძოლაში გამოუწრთობი ახალგაზრდობა, რომელსაც საბრძოლო ნათლობა თანამემამულეთა ხოცვაში მიაღებინეს ოდნავ ორგანიზებულ მტერს ვერ უმკლავდება და თავქუდმოგლეჯილი გარბის ბრძოლის ველიდან. სხვა ყოფილა მტერთან ბრძოლა — აქ უკვე დანდობა აღარ არის. ამიტომაც წყდება ქართული გენი და საშველიც არსაიდან ჩანს.

დიდი ომი აქვს საქართველოსო, სამამულოსაც ეძახიან ხანდახან, მაგრამ ვის ომი აქვს, ვის კიდევ ლხინი. ამ დიდმა უბედურებამაც ვერ გაგვაერთიანა, ავკაცობაზე და უზნეობაზე ხელი ვერ აგვაღებინა. ყაჩაღებმა ხომ ჩვენთვის არ ცალიათო და სულ აიშვეს. ძარცვა-გლეჯამ ისეთი ზომები მიიღო იმასაც კი გაფიქრებინებს, სად იყო ეს ხალხი აქამდე, რას საქმიანობდა, ან რას აკეთებდა, ვინაა მათი მშობელი და პატრონი, რომ სამშობლოს სიყვარულის ჩანასახიც ვერ ჩაუდო გულში.

უჭირს საქართველოს, მართლაც უჭირს, ყველა სიკეთესთან ერთად შიმშილის აჩრდილიც თავზე წამოსდგომია და ვინ იცის კომუნიზმის აჩრდილი სანატრელი გაგვიხდეს. შრომამ, როგორც გვასწავლეს თავისდროზე მაიმუნი ადამიანად აქცია, მაგრამ ლუკმაპურისათვის ყოველდღიურმა ძუნძულმა კაცს შეიძლება ყმუილი დააწყებინოს და აქედან კი ერთი ნაბიჯია მგლობამდე.

ეს ჭირი და უბედურება კი პატიოსანმა და გამრჯე მთავრობამ უნდა გადაატანინოს ერს, მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ ქართველებს. დაპირება დაპირებად რჩება, მაღაზიის დახლები სიცარიელით ეჯიბრებიან ერთმანეთს; ესეც არ არის ზღვარიო, ისმის მთავრობიდან, ორი წელი კიდევ უფრო უარესი იქნებაო, უფრო უარესი კი მოლას ოხუნჯობის მსგავსი თუ იქნება, მოლამ საკუთარ ვირს საკვები შეუწყვიტა. ერთი თვის თავზე გაფშეკილი რომ ნახა სინანულით თქვა — რა დროს შემომაკვდა, ჭამას რომ გადავაჩვიეო. ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენი მთავრობაც იგივეს აპირებს და ორი წლის მერე გინდა შემოიტანოს და გინდა გაიტანოს ეს ამდენი ხნის დანაპირები პროდუქტები. სხვას რომ თავი დავანებოთ, მოსახლეობა გაწამდა მარტო პურის რიგებში დგომისაგან, რომლის დეფიციტი აშკარად არის თვალში საცემი. ხელისუფლება კი იხტიბარს არ იტეხს და იმავე ეკონომისტების რჩევით თავის დროზე საბჭოთა იმპერიას რომ ძირი გამოუთხარეს, 6—7 ჯერ გაზარდა პურზე ფასები, მოსახლეობას კი გაორმაგებული ხელფასები გამოუწერა. ის კი დაავიწყდათ დიდ ეკონომისტებსა და ჩვენს ხელისუფალთ, რომ მომატებული ხელფასი, ფაქტიურად, პურის ღირებულებაში მიდის, ხოლო პურის გაძვირებამ ბაზარს საერთოდ წაუკიდა ცეცხლი. ასე რომ, ამ ეკონომისტების რჩევა-დარიგებანი ხალხს არაფერში ადგია, ისედაც კარგად ხვდებიან, რომ ქამრები მაგრად უნდა შემოიჭირონ.

ამას ისიც ემატება, რომ მოშლილია ელემენტარული სახელმწიფოებრივი დისციპლინა, და თუ კი ვინმე რამეზე ფიქრობს, სიტყვის მასალად, თორემ საქმე ადგილიდან არ იძვრის. არვის აწუხებს ალიკვეთოს შეიარაღებულ ფორმირებათა უკანონო თარეში და არც თუ ისე იშვიათად მათი მხრიდან მოსახლეობის აწიოკება და ძარცვა-გლეჯვა. არავის აწუხებს ის, რომ პროდუქტები, რომელსაც რესპუბლიკა აწარმოებს, სახელმწიფო მაღაზიებში ფაქტურად არ არის, მაშინ როდესაც კომერციული მაღაზიები ამ პროდუქტებით გამოტენილია; არავის აწუხებს ის, რომ სახელმწიფო აფთიაქებში არაფერი არ არის, ხოლო მისთვის განკუთვნილი წამლები მამასისხლად იყიდება ამავე აფთიაქების თანამშრომლების მიერ გახსნილ კომერციულ აფთიაქებში; არავის აწუხებს ის, რომ არ დაადგა საშველი ბენზინითა და სხვა საწვავით მოსახლეობის უზრუნველყოფას, დგანან სასწრაფო დახმარების მანქანები, უბენზინობის გამო კვირობით არ გადის ნაგავი. მაშინ როდესაც ამავე ბაზიდან გამოტანილი ბენზინით — მდიდრდებიან ისევ ხელისუფლების წაყრუებითა და ხელისშეწყობით გათამამებული მათი ახლობლები და ნათესავები. რატომ გაედინება ვითომ ჩაკეტილი საზღვრებიდან ძარცვითა და გლეჯვით ნაშოვი ფერადი ლითონები?!

იმიტომ ბატონებო, რომ დიდი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს, არ სურდათ წესრიგი და კანონი, ვინაიდან ლომის წილი ედოთ ამ მაფიოზურ გარიგებაში. ხოლო თუ მომავალშიც ამ მხრივ არაფერი შეიცვალა, დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ახალმაც ვერ გაუძლო ცთუნებას და იგივეს მიჰყო ხელი. ასეთ შემთხვევაში ისღა დაგვრჩენია, განვაცხადოთ — ბარაქალა შენს მოთმინებასა და ამტანიანობას, ქართველო, მაგრამ როდემდის?...

უჭირსო საქართველოს, მაგრამ ეს გაჭირვება გაცილებით უფრო ადვილი გადასატანი იქნებოდა, ის რომ ყველასათვის საერთო და თანაბარი იყოს. თუმცა ეს ასე არ არის, აქაოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით, ვისაც რა შნო აქვს, ისე მიხედოს თავსო. ჰოდა, ერთნი, როგორც ირკვევა, საქართველოს ძარცვის ხარჯზე მილიონობით დოლარს აბანდებენ პირად ანგარიშზე საზღვარგარეთის ბანკებში, მეორენი კი პურის რიგში ათენებენ. კაცმა რომ თქვას, იმათ ვისაც საქართველოს ბედიღბალზე და საწყალი ხალხის დაპურებაზე პასუხი მოეთხოვება ყველაზე დიდი კი არა, ყველაზე მცირე ხალფასი უნდა მიეცეს, რომ საქმეს უფრო ჩქარა და სამართლიანად მიხედონ. ახლა კი რა გამოდის, ამოდენა ხელფასებით ვერც გაჭირვებას გაიგებ და ვერც შენი ხალხის ტანჯვა-წამებას. როგორც ამბობენ, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო

არც ისაა სწორი, ცხვირმოუხოცავ ბავშვებს ომში რომ მივერეკებით მაშინ, როდესაც კომერციული მაღაზიებისა თუ სოკოსავით მომრავლებული ჯიხურების დახლებთან დგანან ჯანმაგარი მუტრუკები და სადღეჭი რეზინებით ვაჭრობენ. ძალაუნებურად გახსენდება ჩვენი დიდი მამულიშვილის აკაკი წერეთლის ლექსის ის ტაეპი, რომელიც ასე ხატოვნად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას:

„სომეხმა ხმალი აიღო,
ქართველმა სომხის დავთარი-ო."

ეტყობა საქმე მხოლოდ მოწოდებებით წინ ვერ წავა, პატრიოტობა და სამშობლოს სიყვარული მხოლოდ ერთეულთა შეგნებაში ყოფილა გაღვივებული და მათაც ბრძოლის ველზე ვკარგავთ. დანარჩენებს კი სამშობლო ცხვრის დუმა ჰგონიათ, საიდანაც შეგიძლია გაუთავებლად თალო და არამი ლუკმით გასუქდე. ხელისუფლებამ კი აფხაზეთში მიმდინარე ომს ორგანიზებული ხასიათი ვერ მისცა, ფეოდალური ლაშქრის მაგვარ კონგლომერატში, ცალკეული სათავადოებისა არ იყოს, ვისაც როგორი სურვილი აქვს ისე იბრძვის...

წესრიგისა და კანონიერების მოშლამ ისეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, მოსახლეობა ფაქტიურად დაუცველი დარჩა კრიმინალური ელემენტების წინაშე. ჩადენილ დანაშაულობათა უდიდესი ნაწილი გაუხსნელია. ამ რამოდენიმე წლის წინ შურდულით რომ დაენახე მილიციას, მთელი ქალაქი გაიგებდა. დღეს კი ავტომატით სიარულიც აღარ არის უსაფრთხოების გარანტია და საცაა ჯავშანტრანსპორტიორები შეცვლიან ჟიგულებს. იარაღის უდიდესი ნაწილი ოფიციალურად აქვთ მათ მფლობელებს მიღებული ყოველგვარი აღრიცხვისა და ჩანაწერების გარეშე, დაბრუნებას კი არავინ აპირებს და არც ამოღების თავი აქვს ვინმეს. ამ იარაღის გარკვეული ნაწილი ყაჩაღობისათვის არის გამოყენებული. ზემოდან კი ვინ იცის რამდენი გადაწყვეტილება თუ განკარგულება გაიცა შეიარაღებულ ხალხთა თარეშის აღსაკვეთად, მაგრამ აქედან რაც გამოვიდა ყველა კარგად ხედავს. ხელისუფლების უსუსურობამ კი კიდევ უფრო საშინელი უკიდურესობა გამოიწვია, როდესაც აღშფოთებული მოსახლეობა თვითონ უსწორდება დამნაშავეებს და უკანონობებს კიდევ უფრო ზრდის. ასეთმა ტენდენციამ კი შეიძლება ფრიად სერიოზულ გართულებებამდე მიგვიყვანოს. თუ კი მოსახლეობა დარწმუნდება, რომ ხელისუფლებას აღარ ძალუძს სახელმწიფოს მართვა, ქაოსი და განუკითხაობა გაუგონარ მაშტაბებს მიიღებს.

საერთო მომთხოვნელობამ, კანონის უზენაესობამ და მკაცრმა პასუხისმგებლობამ უნდა გამოგვიყვანოს ამ მდგომარეობიდან. ამ საქმეში სწორედ პარლამენტმა უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა.

დადგება ის დრო, როდესაც ყველას ყველაფერი მოეკითხება და ცალკეულ ხელისუფალთა ურაპატრიოტიზმიც რამოდენიმე ათას დოლარში გაცვლილი აღმოჩნდება.

საქართველოს ამაზე უფრო დიდი განსაცდელიც ქონიაო თავს იმშვიდებენ ქართველები, სწორიც არიან იქნებ, როგორ არ ქონია, მაგრამ ქვეყნის გადარჩენის ინსტინქტი და სიყვარული გადამწყვეტ ძალად იქცეოდა და ხსნის ფაქტორი ხდებოდა. დღეს კი ეს ინსტინქტიც დაკარგული გვაქვს და იგი მხოლოდ ჩვენს თანამემამულეთა ნაწილს შემორჩენია.

არა გვაქვს უფლება, როდესაც საქართველოში ფაქტიურად სამამულო ომია, შინაურ თუ გარეშე მოძალადეებთან ისე ვიქცეოდეთ თითქოს არაფერი ხდებოდეს. ვერ დავეთანხმები იმას, რომ, როდესაც ქართველი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი ბრძოლის ველზე წყდება და ასობით ოჯახი გაუბედურებულია, ჩვენ გველხინება და ამიტომ ტაშ-ფანდურა უნდა გვიმართოთო. თუ კინოც გვინდა, კონცერტიც, სიმღერა და ცეკვა-თამაშიც, გამოდის, რომ ვერ [illegible] რა ხდება და რას გვედავებიან. ერთნი ბრძოლის ველზე სისხლისაგან [illegible], მეორენი კი საკონცერტო დარბაზში უცხოური სიგარეტებით პირში გოგოებს [illegible] — უზნეობაა, სხვა თუ არაფერი; და მაშინ არ უნდა გვიკვირდეს რატომ გვიწევს ასეთ წინააღმდეგობას რამოდენიმე ათასი კაცი, რომლებიც მიზანს, თუნდაც უსამართლოს და ბოროტს, ასე ერთ მუშტად შეუტიეს.

თუ ომია — ომი იყოს, თქვა და სწორიც არის, მაგრამ ყველასათვის და არა ერთი მოთხოვნით. ყველაზე მეტი კი ხელისუფლებაში მოსულ კაცებს მოეთხოვებათ, რომ წინამძღოლობა მარტო პრეზიდენტების [illegible] არ უნდა გამოიხატოს. რასაც ისიც ადასტურებს, რომ თანამდებობაზე ძალით დანიშნული კაცი საქართველოში მაინც [illegible] არავის უნახავს. ჰოდა, თუ ასეთ [illegible] გაიხსენეთ, [illegible] ფრონტზე რომ უკრა თავი და მერე ტყვედ კი არ გაცვალა. ის ჯალათად არის მონათლული და ასე იყო. სხვის იმპერიის დაცვას თავი, შვილი და სამშობლოც ანაცვალა.

უჭირსო საქართველოს და მწარე სიმართლეც ეს, მაგრამ კარგად ბრძანა დიდმა ილიამ, მოყვარეს პირში უძრახეო. ჩვენს ჭირსა და უბედურებაზე ჩვენ თვითონ ვართ [illegible], გადმოგვხედავს რას გეტყვის. ამას კი გაუხარდება რაც უფრო შეპირებული და გაუბედურებულს გნახავს. მამოდით, ხანდახან მწარე სიმართლით, მაგრამ კეთილი სურვილებით ყველამ ერთად ვუშველოთ საქართველოს, რომლის იქით, როგორც ვიცით სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია.

ა. ვარაზაშვილი.

# რუსული პოლიტიკა ლოგიკას არ ექვემდებარება

ტყვარჩელთან ვერტმფრენის ჩამოგდებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც არ დააყოვნა და საპროტესტო განცხადება გაავრცელა საინფორმაციო საშუალებებით, სადაც მომხდარში ბრალი დასდო ქართულ მხარეს და უხეშ პროვოკაციად მონათლა იგი.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, სხვის თვალში ბეწვს ეძებენ და საკუთარში დირესაც ვერ ხედავენო. რუსთაგან ეს არაა გასაკვირი. ეს მათთვის ჩვეული მანერაა. ამიტომაც ბომბავენ ისინი გულმშვიდად ჩვენს საბრძოლო პოზიციებს და მშვიდობიან მოსახლეობას აფხაზეთში და მერე ურცხვად აცხადებენ, ამას აფხაზები სჩადიანო. ამიტომაც ცდილობენ ისინი კიდევ უფრო გააღრმავონ შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში, სამაჩაბლოშიც (სადაც ახლა მოჩვენებითი სიმშვიდეა), სხვა რეგიონებშიც, რომ მერე თვითონვე მოგვევლინონ კეთილი გამშველებლის როლში და ამით განამტკიცონ თავიანთი „დერჟავის" ზეგავლენა ამ რეგიონებში.

ეს რომ ასეა, ჩვენთვის ცხადია. მაგრამ ერთი რამ არ არის ჩვენთვის ცხადი: რატომ იტყვის ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლება ასეთ დოიალურ და მიმტევებლურ დამოკიდებულებას რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩვენს მიმართ განხორციელებული აგრესიისადმი, რატომ არ მოითხოვს რუსეთის სამხედრო ნაწილების სასწრაფოდ გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან და რატომ არ აფიქსირებს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით იმ ფაქტს, რომ საქართველოს მიმართ რუსეთი ახორციელებს შეიარაღებულ აგრესიას.

ვფიქრობთ, არც ისაა სწორი, როცა ჩვენი პოლიტიკოსები და სამხედროები რუსული სამხედრო ნაწილების ჩვენს წინაღმდეგ ბრძოლას რუსეთის რეაქციული წრეების მიერ დაგეგმილ აქციად ნათლავენ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ გვებრძვის არა რომელიღაც რეაქციული წრე, არამედ გვებრძვის „დერჟავა", რომელსაც იმპერიული ზრახვები ამოძრავებს და აქ ერთად დგანან ე.წ. დემოკრატები და ანტიდემოკრატებიც.

ბოლოს და ბოლოს ჩვენზე გაცილებით პატარა ქვეყნის, ჩეჩნეთის მაგალითი მაინც გავიხსენოთ, როცა ამ ქვეყნის პრეზიდენტმა და მოსახლეობამ ისეთი მტკიცე ნება და შეკრული მუშტი ანახა უზარმაზარ რუსეთს, რომ ეს ვეებერთელა ვეშაპიც კი იძულებული გახდა სხვა ენაზე დაეწყო ლაპარაკი.

რა თქმა უნდა, მწვავე საკითხების მოგვარება პოლიტიკური დიალოგებით რომ სჯობს, ეს სადავო არაა, მაგრამ დაგომისისა და სამი სექტემბრის ხელშეკრულებების შედეგებით მაინც ხომ უნდა მივხვდეთ, რომ რუსული პოლიტიკა არ ექვემდებარება ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში მიღებულ ლოგიკას.

სერგო ჯანაშია



# რა დროს ურთიერთმტრობა და განზე დგომაა!

### პარტიათა წინააღმდეგ

საქართველოში ამჟამად ამდენი პარტია, კავშირი, ორგანიზაცია-გაერთიანება არსებობს, რომ მათ შორის განმასხვავებელი ნიშნების დადგენა შეუძლებელია. პარტიათა პროგრამების ავკარგიანობის გარჩევა ამომრჩევლებისათვის არათუ ძნელი, არამედ თითქმის შეუძლებელიც იყო.

საქართველოს 5,5 მილიონიან მოსახლეობაზე ოთხ ათეულზე მეტი გაერთიანება და პარტია გვაქვს, ხოლო თითქმის 300 მილიონიან აშშ-ი ორი ძირითადი პარტიაა. ჩვენი ჩამორჩენილობის, ამბიციურობის შედეგი ხომ არ არის ამდენი პარტიის არსებობა? ხომ არ გახდება ეს ფაქტორი სამომავლოდ ჩვენში ახალი დესტაბილიზაციის, ახალი უბედურების მიზეზი?

პარტიათა ურთიერთბრძოლას რევოლუციის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება-აღმავლობა აღვივებს, ხოლო პარტიები ძირითადად წარმოიქმნებიან რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს. ჩვენში პარტიებს შორის განხეთქილება და მწვავე ბრძოლა დაიწყო მაშინ, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, მოძრაობის ხელმძღვანელები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ. ცნობილია, რომ საფრანგეთის, რუსეთის რევოლუციების შემდეგ რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები გაიხლიჩნენ და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საფრანგეთის რევოლუციის ბელადებმა გილიოტინით წააცალეს თავი ერთმანეთს. რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელებმაც ამოხოცეს ერთიმეორე...

დასავლეთის ზოგიერთი მოღვაწე, მეცნიერ-პოლიტოლოგი უარყოფითად აფასებდა და აფასებს პოლიტიკური პარტიების არსებობას, რადგან პოლიტიკური პარტიები არის ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც იბრძვიან ხელისუფლებისათვის და პარტიათა შექმნა-დაფუძნება ხშირად პიროვნებათა ამბიციებზეა დამოკიდებული. დასავლეთის წამყვან ქვეყნებში მხოლოდ ორი-სამი პარტია არსებობს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონმდებლობა კრძალავს პარტიების ჩარევას მმართველობაში. კარგადაა ცნობილი, რომ ამ ქვეყანაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბოლო პერიოდში შენელდა პარტიებს შორის ბრძოლა და ამან დიდი როლი შეასრულა მიზნის წარმატებით განხორციელებაში. ისიც ცხადია, რომ ორივეს-რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიას ქვეყნის მმართველობის ყველა ძირითად საკითხებში თითქმის ერთნაირი პოზიციები აქვთ.

ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, დემოკრატია ხორციელდება მხოლოდ ორგანიზაციის ანუ ორგანიზაციული გაერთიანების საშუალებით, მაგრამ ყოველგვარი ორგანიზაცია, ორგანიზაციული გაერთიანება თუ კავშირი ოლიგარქიის წარმოშობის აშკარა შესაძლებლობას იძლევა, რაც დემოკრატიული სტრუქტურის საწინააღმდეგოა. თითოეულ პოლიტიკურ პარტიაში თანდათანობით იქმნება წარმმართველი-ხელმძღვანელი ძალა, რომელიც პრიორიტეტულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაც აშკარად გამოხატული ძალაუფლებაა უმცირესობისა უმრავლესობაზე; როდესაც ესა თუ ის საკითხი დაუყოვნებლივ და სასწრაფოდაა გადასაჭრელი, მაშინ ამის შესახებ არ ეკითხებიან პარტიის რიგით წევრებს, მას ხელმძღვანელთა ვიწრო ბირთვი წყვეტს მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის გარეშე. ამდენად, გამორიცხულია, თუნდაც ყველაზე უფრო დემოკრატიულ პარტიაში, სრული, პირდაპირი დემოკრატიის განხორციელება, ქვეყნის მმართველობაში ხალხის ფართო მასების მონაწილეობის უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში პარტიის ხელმძღვანელები თანდათანობით იქცევიან კომპეტენტურ, პროფესიონალ ხელმძღვანელებად და მტკიცედ და შეუცვლელად მკვიდრდებიან პარტიულ ლიდერებად, რითაც დემოკრატია ზარალდება. მაგრამ პარტიების შექმნა დემოკრატიული, ცივილიზებული წყობილების განუყოფელი ნაწილია და პიროვნების პირადი თავისუფლებით არის ნაკარნახევი. დონ-კიხოტობაა იმაზე ოცნება, რომ ხალხის ფართო ფენებმა, ფართო მასებმა მართონ სახელმწიფო, რადგან ეს აბსოლუტურად შეუძლებელია, მაგრამ ამით დემოკრატია არ ირღვევა. დემოკრატიულობა გამოიხატება იმაში, რომ მოსახლეობის ფართო ფენებმა ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლებაზე და სწორი მიმართულება მისცენ მას, ეს კი ძირითადთ პოლიტიკური პარტიების მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

### მონარქიის წინააღმდეგ

ჩვენ შეჩვეული ვიყავით ერთპიროვნულ მმართველობას, დიქტატურას და მონარქიის აღდგენის შემთხვევაში (რისთვისაც მოწოდებულია ჩვენში არსებული მონარქისტული ორგანიზაცია და რასაც მხარს უჭერს საზოგადოების გარკვეული ნაწილი) „ერის სულიერმა მამამ „შეიძლება ხალხს კერპის შექმნისაკენ გაუხსნას გზა.

ქართველ ხალხს არ სჭირდება ახალი კერპი, რაც მონარქიის პირობებში გამორიცხული არ იქნება! ქართველი ხალხისათვის საშიში ხომ არ იქნება ახალი ფეტიშის შექმნა? გარდა ამისა, ქართველი ხალხი მოინდომებს უუფლებო, ძალიან შეზღუდულ მეფეს? და თუ მონარქს ბევრი უფლება მივეცით (როგორ დჯუადგინოთ რამდენი უფლება მივცეთ?), ხომ არ შეიქნება იმის საშიშროება, რომ ის მოკლე დროში დიქტატორად გადაიქცეს? თითქმის ორი საუკუნეა, რაც ჩვენში მონარქია არ არსებობს. ამიტომაც, არათუ სასურველად, შეუძლებლადაც კი მიგვაჩნია დიდი ხნის წინათ გაუქმებული მოდელის ტრანსფორმირება. ამ დროის განმავლობაში სრულიად შეიცვალა ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური შეხედულებები, მისი ფსიქიკა და საეჭვოა, რომ ასეთ ვითარებაში იგი მონარქიის საჭიროებას გრძნობდეს. გოეთე ამბობს „უდიდესი ადამიანიც კი ადამიანია“ და ამიტომ წინასწარ ვერ განსაზღვრავ თითოეული ადამიანის, მათ შორის მონარქის, მიზნებსა და ამოცანებს. ნუ შევადარებთ თავს ზოგიერთ ტრადიციულ სამეფო ქვეყნებს.

### საქართველოს სჭირდება პრეზიდენტის ინსტიტუტი

ხშირად წერენ და ლაპარაკობენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი არ სჭირდება, ამისათვის ის ჯერჯერობით მზად არ არისო. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ადგილზე, დროსა და პირობებზე, პიროვნებაზე, მის გავლენაზე რომელიც შეიძლება პრეზიდენტი გახდეს. პრეზიდენტობის ინსტიტუტი საქართველოს დღეს უფრო სჭირდება, ვიდრე ოდესმე, რადგან ბევრი საკითხი სასწრაფოდ, კონკრეტულად, მობილურადაა გადასაწყვეტი. ხალხი ხელისუფლებას ვერ მიუტევებს მრავალი რთული საკითხის გადაჭრის გადავადებას, გაჭიანურებას. არის საკითხები, რომლებიც ხვალ კი არა, დღესვე უნდა გადაწყდეს. პრეზიდენტს ხელეწიფება ყველა ძირითადი სახელმწიფო საკითხი უფრო ორგანიზებულად გადაწყვიტოს, ვიდრე ამას გააკეთებს პარლამენტი თუ კოალიცური (გნებავთ, არაკოალიციური) მთავრობა. ამიტომ, ვფიქრობ მიზანშეწონილია, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება, მით უმეტეს, მაღალი რანგის, ღირსეული კანდიდატი გვყავს, რომლისთვისაც ფრიად შესაფერისია პრეზიდენტის თანამდებობა.

(ცნობილია მ. გორბაჩოვის სიტყვები, გარდაქმნის იდეა შევარდნაძემ მომაწოდაო. ის, რაც 80-იანი წლების მეორე ნახევარში მსოფლიოში მოხდა, ბევრწილად ედუარდ შევარდნაძის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია; ესაა „ბოროტების იმპერიის“ დაშლა, აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება სოციალიზმის შავი ჭირისაგან, გერმანიის გაერთიანება, ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცება და სხვა. საქართველო უნდა ამაყობდეს ამით).

მკითხველი უთუოდ იტყვის და სამართლიანადაც: პარლამენტის თავმჯდომარე ეს არის თითქმის ერთხმად ავირჩიეთ და ახლა რა საჭიროა მისთვის ახალი თანამდებობის შემოღება? ჩვენ არ ვთხოულობთ ეს დღესვე გაკეთდეს, მაგრამ უთუოდ გასაკეთებელი საქმეა. როგორც ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყნებში, ჩვენშიც პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. გამოცდილება გვიკარნახებს: პრეზიდენტს ფართო უფლებები უნდა ჰქონდეს, მაგრამ კანონით ყველაფრის გაკეთება არ უნდა შეეძლოს. ძველი რომაელები ამბობდნენ: „თუ გინდათ კაცი დალუპოთ, მიეცით ყველაფერი რასაც მოისურვებს“. ყველამ ნახა თუ რა შედეგები გამოიღო განუსაზღვრელი უფლებების მიცემამ ყოფილი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში.

### საქართველო-ნეიტრალური ქვეყანა

ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც სჭირდება საკუთარი არმია, შინაგანი დაცვის ძალები, ე.ი. ყველა ის ატრიბუტი, რომელიც საჭიროა ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობის განმტკიცებისათვის, უშიშროებისათვის. ეს აქსიომაა, მაგრამ საქართველოს არ სჭირდება მრავალრიცხოვანი არმია. ამის შესაძლებლობა მას არ გააჩნია. სულერთია; საქართველო მარტო საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდება თავის დიდ მეზობლებს. საქართველოსთვის ერთადერთი გამოსავალია ნეიტრალური ქვეყნის სტატუსის მიღება. ჩვენ გვჭირდება მტკიცე კავშირი აშშ-სთან, გერმანიასთან, ნატოსთან, ევროპის კავშირთან, გაერთიანებულ ერების ორგანიზაციასთან. საქართველომ მთელი თავისი ძალები უნდა მიმართოს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული წინსვლისათვის.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა საშუალება არ მისცეს იაპონიას, ჰყოლოდა დიდი არმია შესაფერისი შეიარაღებით. ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ისე მოხდა. რადგან იაპონია სამხედრო საქმეზე ძალიან ცოტას ხარჯავდა, მთელი ძალები წარმართა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის და მოკლე დროში იგი ეკონომიკური სასწაულისა და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყნად იქცა. ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ თუ მთელ ჩვენს ძალებს ეკონომიკური წინსვლისათვის წარვმართავთ და სწორი გონივრული გზით ვივლით, შეიძლება გარკვეული პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიოთ.

### ციხე შიგნიდან არ უნდა გატყდეს

უნდა გავითვალისწინოთ-ანტიქართული საქმეები, უმრავლეს შემთხვევაში, ქართველთა ხელით კეთდებოდა, რომ „მოკეთე მტერი ყოველთა მტრისაგან უფრო მტერია“. ქართველთა ციხე თითქმის ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა. საქართველოს საუკუნეების განმავლობაში სწორედ გათიშულობა და ურთიერთდაპირისპირება ღუპავდა. მტრები ყოველთვის ეყრდნობოდნენ იმას, რომ ქართველებს ერთი პირობა, ერთიანობა არ ჰქონდათ. მესამე ძალა ყველა საშუალებით აღვივებს ჩვენს ურთიერთდაპირისპირებას. საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის გარანტია ერთიანობაა, რომელიც მიგვიყვანს ნანატრ ტაძართან. ვერც ერთი ქვეყანა ნორმალური, ნამდვილი ცხოვრების პირობებს ვერ შექმნის მტკიცე კანონისა და წესრიგის გარეშე. სამწუხაროდ, უმაღლესი ეშელონის ბევრი ხელმძღვანელი თვითონ არ იცავს კანონებს. ამის მაგალითები გვაქვს. ასეთ ვითარებაში სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

დღეს მხოლოდ ერთი სწორი გზა არსებობს-შერიგება, მიმტევებლობა, ურთიერთსიყვარული. ქართველ ხალხს ერთი აზრი უნდა ამოძრავებდეს: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. მრავალმა ათეულმა პარტიამ, მისმა ხელმძღვანელობამ ხელი უნდა აიღოს ამბიციურობაზე, ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე (ბოდიშს ვიხდით, ყველა პარტიას ეს არ ეხება), და თუ საქართველოსათვის სიკეთე უნდათ ან უნდა გაერთიანდნენ ასოციაციებად ერთიანი პლატფორმით (მით უმეტეს რომ არც პროგრამებით და არც მოღვაწეობით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან) ან გააუქმონ თავიანთი მრავალრიცხოვანი პარტიები. მართალია, პარტიები შეკვეთით არ იქმნება და არც უქმდება, მაგრამ ნუთუ საქართველოს არ ეყოფა ორი-სამი კარგად ორგანიზებული პარტია? რა გვემართება, რატომ დავკარგეთ წონასწორობა? დღეს საქართველო ერთიანი პარტია უნდა იყოს!

**კოტე პასოშვილი**

### რედაქციისაგან:

ბევრი ისევე, როგორც ჩვენ.— ალბათ, ვერ გაიზიარებს ბატონ კ. პასოშვილის ზოგიერთ მოსაზრებას. ვფიქრობთ, კამათს გამოიწვევს მისი პოზიცია პარტიებთან, პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით. რედაქცია მზადაა დასტამბოს საპირისპირო ხასიათის წერილები.

ერთიც გვინდა დავძინოთ: „კოტე პასოშვილი“ ფსევდონიმი გახლავთ. საკუთარი გვარი ავტორმა იმ მოსაზრებით არ მოაწერა, რაიონში სახლს დამიწვავენო. ესეც ჩვენი „უბედური დროის“ ერთი სამწუხარო მახასიათებელია..

საგონებელში ჩავარდება კაცი პირდაპირ, რა წერია ამ სტატიაში ისეთი, ავტორს სახლი რომ უნდა გადაუწვან?!.

# მივმართავ რესპუბლიკის პარლამენტს

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა პერიოდმა და, შესაბამისად, ფასების ლიბერალიზაციამ, წარმოების დაცემამ, საყოველთაო დეფიციტმა და თავისუფალი ვაჭრობის შემოღებამ ერთგვარი დომხალი შექმნა მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა სახელმწიფო უძლურია მთლიანად უზრუნველყოს მოსახლეობა საკვები პროდუქტებით და ამდენად, ინიციატივა ხელში აიღეს ბიზნესმენებმა — სხვადასხვა კომერციული ფირმების, ასოციაციების, კოოპერატივების მესვეურებმა და უბრალოდ, გერგილიანმა ადამიანებმა, რომელთაც საკუთარი რისკის ფასად შემოაქვთ რესპუბლიკაში კარაქი, შაქარი, ზეთი, ბრინჯი და ამ რანგის სხვა დეფიციტური პროდუქტები.

რესპუბლიკის პრესაში გაკრთა ის აზრი, და მეც ვეთანხმები, რომ სწორედ ამ ადამიანების წყალობაცაა, რომ მართალია ძვირად, მაგრამ მაინც შეგვიძლია შევიძინოთ სხვადასხვა პროდუქტი და ამისათვის მადლობის მეტი რა გვეთქმის მათ მიმართ.

მაგრამ ამ საქმეს აქვს მეორე და, ვფიქრობ, სასიცოცხლო მნიშვნელობის მხარეც. კერძოდ, საუბარია რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილი და ადგილზე დამზადებული სასურსათო პროდუქტების ხარისხიანობაზე, რომელთა შემოწმებაც დღეს თითქმის არ ხდება და ერთმა ღმერთმა უწყის მხოლოდ, რას ვჭამთ და რას ვაჭმევთ ჩვენს ბავშვებს.

მართალია, დუხჭირი ცხოვრება გვაქვს დღეს და ერთი შეხედვით კაცმა შეიძლება ისიც იფიქროს, ოღონდ შიმშილით არ დავწყდეთ და რას დაეძებ, რა შემოწმება უნდა პროდუქტსო.

სამწუხაროდ, საქმისადმი ასეთ მიდგომას არათუ რიგითი მოქალაქე იჩენს, არამედ თვით ის სახელმწიფო დაწესებულებებიც, კი რომელთა უშუალო მოვალეობაც გახლავთ რესპუბლიკაში შემოტანილი საკვები პროდუქტების ვარგისიანობის მკაცრი შემოწმება და შესაბამისი მექანიზმების ამოქმედება, რათა პირველ რიგში თვით შემომტანმა ფირმამ, კოოპერატივმა თუ კერძო პირმა იზრუნოს იმაზე, რომ ხარისხიანი პროდუქტი შემოიტანოს.

მეცნიერებმა კარგა ხანია დაადგინეს, რომ საკვები პროდუქტებით ადამიანის ორგანიზმში ხვდება ბევრი მომწამლავი ნივთიერება, მათ შორის განსაკუთრებით საშიში ლითონები — ტყვია, თუთია, სპილენძი, კალიუმი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი და ა.შ.

გარდა ამისა, ნიადაგის დიდი რაოდენობით სხვადასხვა ნიტრატებით და პესტიციდებით დამუშავება იწვევს მოწეული მოსავლის დაბინძურებას ამ ნივთიერებებით და, შესაბამისად, ადამიანის ორგანიზმის მოწამვლას.

ყველაფერი ეს კი ისეთი ავადმყოფობების გაჩენას უწყობს ხელს, როგორიცაა სისხლში ჰემოგლობინის დაქვეითება, ავთვისებიანი სიმსივნეები, შინაგანი ორგანოების სხვა მძიმე დაავადებები და, რაც ყველაზე უარესია, უარყოფით გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე, გონებრივ პოტენციალზე, იმუნურ და მემკვიდრულ სისტემებზე.

ეს უკანასკნელი კი, მისი მკვეთრი შეცვლის შემთხვევაში, რასაც ამჟამად აქვს ადგილი საქართველოში, თავის მხრივ ერის ნიშან-თვისებათა გადაგვარების მომასწავებელია.

ყველაზე სავალალო მაინც ის არის, რომ დაბინძურებული პროდუქტებით განსაკუთრებით ზარალდებიან ბავშვები, რომლებიც მეტად მგრძნობიარენი არიან მოწამლული კვებითი პროდუქტების მიმართ და, ამდენად, რეალური საფრთხე ემუქრება ჩვენი შთამომავლობის ჯანმრთელობას.

არადა, მართლაც რომ კურიოზულია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში, როცა ეროვნული საქმის გადაწყვეტა სხვისი ნების გარეშე თითქმის შეუძლებელი იყო, გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ამ საკითხებს და რესპუბლიკის საზოგადოებრიობაც მეტ აქტიურობას იჩენდა ამ საქმის მიმართ. გემახსოვრებათ ალბათ, თუ რა აჟიოტაჟი გამოიწვია ჩერნობილის კატასტროფის შედეგად რადიაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული ხორცის შემოზიდვამ საქართველოში, როგორ აღუდგა წინ მაშინ ამ საქმეს საზოგადოებრიობა.

დღეს კი, მიუხედავად კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობისა (რაც [illegible] დღე უფრო და უფრო ღრმავდება), საზოგადოებაში არ შეინიშნება ეს აქტიურობა და მეტიც, რესპუბლიკის პარლამენტშიც კი ცალკეულ დეპუტატთაგან ერთგვარი ინერტულობა და გულგრილობა იგრძნობოდა მწვანეთა დეპუტაციის წარმომადგენლის ბატონ ზურაბ ნოლაიდელის მიერ შემოთავაზებული წინადადების განხილვაზე ზესტაფონ-ლანჩხუთის მონაკვეთზე არსებული ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიებისა და პალიასტომის ტბის ეკოლოგიური დაბინძურების ფაქტების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ.

ასეთ გულგრილობას კი ბუნება არ გვაპატიებს. ამ პრობლემების დღევანდელი ამგვარი უგულებელყოფა ხვალ ბუმერანგივით შემოგვიბრუნდება და საქმის გამოსწორებაც კიდევ უფრო გაჭირდება.

• აღნიშნულ საკითხებზე სახალხო ფრონტმა არაერთხელ მიმართა სათანადო სახელმწიფო ორგანოებს, თითქოს საქმეც დაიძრა, რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს მიერ დაიწყო კანონპროექტების მომზადება მომხმარებელთა ინტერესების დაცვის, სტანდარტიზაციის, სერთიფიკაციის შესახებ, შემუშავდა დოკუმენტები. მაგრამ, როგორც სჩანს, ყველაფერი ეს ქაღალდზე დარჩა, რადგან რეალურად საქმეს არავითარი სასიკეთო წინსვლა არ ეტყობა.

დრო კი არ ითმენს. ამიტომ მივმართავ რესპუბლიკის პარლამენტს-საპარლამენტო განხილვის საგნად აქციოს ეს საკითხი და სათანადო გადაწყვეტილებებიც მიიღოს მის მოსაგვარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლაც რომ გადაშენება გვემუქრება.

სერგო ჯანაშია.

# ერთი განცხადების შუქ-ჩრდილები

ფელიქს კოჭიაშვილი

გაზეთ „ქართველი ერის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის განცხადება „ჩვენი პოზიცია აფხაზეთთან დაკავშირებით“.

განცხადებაში კიდევ ერთხელაა გაცხადებული ტრადიციონალისტთა კავშირის პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში. და ეს პოზიცია, როგორც ცნობილია, ფრიად განსხვავებულია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების, ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების პოზიციისაგან.

ის ფაქტი, რომ აღნიშნული კონფლიქტის მიზეზების, მისი მოგვარების გზების შესახებ ტრადიციონალისტები თავიანთ „სხვანაირ“, არცთუ პოპულარულ შეხედულებებს პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური „მოქნილობისა“ და „თამაშის“ გარეშე გამოხატავენ და იცავენ — რაღა თქმა უნდა, მისასალმებელია, მით უმეტეს, ჩვენს მეტისმეტად „მოქნილ — მოთამაშე „პარტიულ ცხოვრებას“ თუ გავითვალისწინებთ...

სხვა საქმეა ამ პოზიციის „შუქ-ჩრდილები“, ის, თუ რა არის მასში მისალებ-გასაზიარებელი და რა — არასწორი, მიუღებელი.

შევეცდები მოკლედ ვაჩვენო ეს „შუქ-ჩრდილები“.

დავიწყოთ „შუქით“ — მისაღებ-გასაზიარებელით.

...

დღეს ჯერ კიდევ ძნელია გაგრის (და არა მარტო გაგრის) ტრაგედიის მიზეზების გამოწვლილვითი ანალიზი. მალე ალბათ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიეჩინება, საგნებს სახელი დაერქმევა, ბევრ რამეს აეხდება ფარდა... ის კი ნათელია, რომ, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ტრადიციონალისტთა განცხადებაში:

„ქართული შეიარაღებული ძალების უკიდურესმა არაორგანიზებულობამ, დაქსაქსულობამ და სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფაქტიურმა არარსებობამ... განაპირობა მძიმე სამხედრო წარუმატებლობა, რისი შედეგიცაა გაგრის ტრაგედია“.

„პოზიციის“ ავტორებს უნდა დავეთანხმოთ იმაშიც, რომ:

„ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რეგულირებაში რუსეთზე ორიენტირებამ... შექმნა პოლიტიკური ჩიხი. ორივე მხარეები ნასისხლად გადაკიდებული“ მხარეები ერთ სულ და ერთ ხორც იქცევიან და ხელი-ხელჩაკიდებულნი იბრძვიან — გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით — საზღვრების გადასასწორად, „რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად“, „თავგასული რესპუბლიკების მოსათვინიერებლად“ და ა.შ. ვიმეორებ, „გარერეს... გარანტად რუსეთის სხვადასხვა პოლიტიკური ძალები მიაჩნიათ (აფხაზებს-ე.წ. რეაქციული რუსეთი და ჩრდილო კავკასიელთა კონფედერაცია, ხელისუფლებას კი — ე.წ. დემოკრატიული რუსეთი და ა.შ.). ეს მაშინ, როდესაც არც ერთ მხარეს გარკვეული არა აქვს ქართულ — აფხაზური ურთიერთობების პრობლემის პოლიტიკური რეგულირების ამოსავალი პრინციპები“.

თქმა არ უნდა, რუსეთის „ფაქტორი“ ფაქტია და ხელისუფლება ვერაფრით ვერ მოახდენდა მის უგულებელყოფას, ვერ აუვლიდა გვერდს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ხელისუფლება (და არა მარტო ხელისუფლება) მეტისმეტად დიდ იმედებს ამყარებდა „დემოკრატიულ რუსეთზე“, რაც ილუზორულია. (ილუზორული კი იმიტომაა, რომ ეს ჩვენი ნაქები „დემოკრატიული რუსეთი“... არ არსებობს! არ არსებობს ჩვენთვის, საერთოდ, რუსეთსგარეშე, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის, რამეთუ, „რეაქციული“ და „დემოკრატიული“ რუსეთი, წითელხაკისფერი და დემოკრატიული პარტიებ-მოლვაწეები, როგორც კი საქმე „დერჟავაზე“, იმპერიულ ინტერესებზე მიდგება, ეს, „დაშეთათავის“ არ არსებობს „დემოკრატიული რუსეთი“. თორემ შიგნით, ერთმანეთთან მიმართებაში, რასაკვირველია, არსებობენ რეაქციული და დემოკრატიული ძალები. ერთი სიტყვით, რუსეთი რუსეთია და მისი დაყოფა „ულებად“ „მეფის რუსეთისა“ და „ჩერნიშევსკის რუსეთის“ თეორიის გადმონაშთად შეიძლება ჩაითვალოს. და საერთოდ, მგონია, რომ ჩვენ უფრო მეტად „ვიცავთ“ „დემოკრატ ელცინს“, ვიდრე მისი „თანამედომეკრატენი“. არადა, კაცმა რომ თქვას, სადაური დემოკრატია ელცინი?!).

...

„პოზიციაში“ ვკითხულობთ:

„იკვეთება ტენდენცია, რომ საქართველოს პარლამენტი და სახელმწიფოს მეთაური თავს არიდებენ აფხაზეთში შექმნილი კატასტროფული ვითარების პოლიტიკურ შეფასებას, რადგანაც ამ შეფასებას ავტომატურად უნდა მოჰყვეს რიგ პოლიტიკურ ძალთა პასუხისმგებლობის საკითხიც. არადა, აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური შეფასება ამ პრობლემის რეგულირებისათვის აუცილებელია...“

მართლაც, უცნაურია, რომ პარლამენტში აფხაზეთის საკითხის ხშირი განხილვები, მსჯელობანი დღემდე განხილვებად, მსჯელობად, „გულის მოოხებად“ რჩება. რეალური შეფასებანი, ნაბიჯები არ სჩანს. უამისოდ კი, „საკითხის პრინციპულად დასმის გარეშე აფხაზეთის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება არ მოხერხდება“.

...

ახლა განცხადების „ჩრდილოვანი“ მხარეები ვნახოთ.

მასში არის ერთი ამგვარი პასაჟი:

„საარჩევნო კანონი, რომლითაც აირჩა აფხაზეთის უზენაესი საბჭო, წარმოადგენდა ორმხრივი კომპრომისის (ხაზგამა აქაც და შემდეგაც ჩემია. — ფ.კ.) შედეგად მიღებულ დოკუმენტს და თავის დროზე საშუალებას იძლეოდა პოლიტიკურად უზრუნველყოფილი (ალბათ, უნდა იყოს „პოლიტიკურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი“ — ფ.კ.) ქართულ-აფხაზური ერთობა, რაც აფხაზეთის პრობლემის მოგვარების და ამ რეგიონში პოლიტიკური სტაბილიზაციის ქვაკუთხედია“.

მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდა, რომ ტრადიციონალისტთა მიერ დღემდე ასერიგად მოწონებულ საარჩევნო კანონში იგულისხმება ის, აწ უკვე აპარტეიდულად წოდებული საარჩევნო კანონი, რომლითაც აფხაზეთის მოსახლეობის 17 პროცენტმა (აფხაზებმა) უზენაეს საბჭოში 28, ხოლო 48 პროცენტმა (ქართველებმა) — 26 ადგილი მიიღეს.

როგორც ვნახეთ, ამ, მართლაც აპარტეიდულ კანონს განცხადების ავტორები რატომღაც „ორმხრივი კომპრომისის შედეგად მიღებულ დოკუმენტს“ უწოდებენ.

ამ დროს კი, კომპრომისი, უცხო სიტყვათა ლექსიკონების მიხედვით, „ურთიერთდათმობის გზით მიღწეულ შეთანხმებას ნიშნავს!

ქართველობა, უფრო ზუსტად, მაშინდელი ხელისუფლება დათმობაზე კი არა, ყოვლად არ გადასადგმელ ნაბიჯზე რომ წავიდა, ფაქტია(მოსახლეობის უმრავლესობის ხარჯზე უმცირესობისათვის ამგვარი, ნებაყოფლობითი კანონიერი, „დათმობის“ მსგავსი ანალოგი, შეიძლება ითქვას, არ იცის ისტორიამ).

სამაგიეროდ რა დათმეს აფხაზებმა? არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვსმენია ამის შესახებ. ხოლო თუ ტრადიციონალისტებს სმენიათ რაიმე დათმობის თაობაზე აფხაზთა მხრიდან, — კარგი იქნება, ჩვენც თუ გაგვიმხელენ. ამასთან, იქნებ ისიც განგვიმარტონ, ამ „დოკუმენტმა“ „თავის დროზე“ რანაირად უზრუნველყო პოლიტიკურად ქართულ-აფხაზური ერთობა, რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად ეს „ერთობა“?!

და საერთოდ, თუკი „ყველაფერი იყო ძლიერ კარგად, ყველაფერი რატომ იყო ძლიერ ცუდად“?!

ამგვარივე განმარტება მოითხოვს შემდეგი მტკიცება:

„ქართულ-აფხაზური ურთიერთობების უკიდურესი გამწვავება ამ ეტაპზე გამოიწვია სახელმწიფო გატრიალებამ, რომელმაც დაანგრია სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური სტრუქტურები და აფხაზეთი ორმხრივად მისაღებ სტატუსს საერთო-სახელმწიფოებრივ დასაყრდენი გამოაცალა“.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ მტკიცების ავტორები საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან, თავიანთ „კომპრომისულ ლოგიკას“ ღალატობენ: თუკი სახელმწიფო გადატრიალებამდე ქართულ-აფხაზური ურთიერ[...]

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

(პროექტი)

იმის გათვალისწინებით, რომ დღესაც კი, როცა მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთსა და საქართველოს შორის ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადების თაობაზე, რუსეთის ფედერაციისა და დამოკიდებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შეიარაღებული ძალები არ წყვეტენ შეიარაღებულ მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც ისინი ეწევიან 1992 წლიდან აფხაზეთში, რასაც წინ უსწრებდა ამ ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ანტისახელმწიფოებრივი უკანონო რაზმების მომარაგება საბრძოლო იარაღითა და ტყვია-წამლით მრავალი თვის მანძილზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში; აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან საქართველოს რესპუბლიკაში კავკასიური და რუსული ეროვნებების შეიარაღებული რაზმების შემოგზავნა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ იარაღითა და ტყვია-წამლით მომარაგაებულმა და გაწვრთნილმა უკანონო საბრძოლო ფორმირებებმა, რომლებსაც რუსი და ჩრდილოკავკასიური ეროვნებების მებრძოლები ეხმარებოდნენ, მოახდინეს მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა გაგრის, გუდაუთისა და ათონის რაიონთა ქართულ დასახლებებში, აგრეთვე ოჩამჩირის რაიონის ქართულ სოფლებში, სადაც ამ ფორმირებებმა შეჭრა შეძლეს, რაც ნათლად მეტყველებს აღნიშნული ტერიტორიების ქართველი მოსახლეობისაგან დაცლის ერთიანი გეგმის არსებობაზე რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს სანაპირო ზოლის ერთი ნაწილის მოკვეთის მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის და დამოუკიდებელ ერთა თანამეგობრობის სამხედრო-საჰაერო ძალები სისტემატურად ბომბავენ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა განლაგებასა და ქალაქებს სოხუმსა და ოჩამჩირეს, აგრეთვე არტილერიასა და რაკეტებს უშენენ ამ პოზიციებსა და დასახლებებს.

, — რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების განცხადებათა გათვალისწინებით, რომლებიდანაც ჩანს, რომ რუსეთის ფედერაციას ხელი არა აქვს აღებული საქართველოს კიდევ ერთხელ ანექსირების ზრახვაზე, რომლის ერთ-ერთი შემამზადებელი საფეხურია რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებით საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის — აფხაზეთის — კოლონიზაციის გეგმა.

აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის და დამოუკიდებელ ერთა თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების ნაწილები ჯიუტად განაგრძობენ დგომას საქართველოს კონფლიქტით მოცემული ნაწილის — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის — ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ არც სამართლებრივი საფუძველი, არც სხვა რაიმე საფუძველი არ არსებობს.

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაცია აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეზღუდულ ომს, მისი გაფართოებისა და სრულმასშტაბიან დაპყრობით ომად გადაზრდის აშკარად გამოკვეთილი ტენდენციით. თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ჩაითვალოს, რომ საქართველოს რესპუბლიკა იმყოფება ომის მდგომარეობაში, რომელიც გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება თუნდაც ერთი შეიარაღებული მტერი.

2. შეჩერდეს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციასთან საქართველო-რუსეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების შესახებ.

3. უარი ეთქვას რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს საქართველოში მათი ყოფნის გაგრძელებაზე და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დაევალოს მათი გასვლის სავალდებულო გრაფიკის წარმოდგენა ერთი კვირის მანძილზე.

4. მოსალოდნელი აგრესიის აქტების გამო საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, აღკვეთილ იქნას რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ტრანსპორტის მიმოსვლა საქართველოს გზებზე საქართველოს რესპუბლიკისთვის წინასწარი შეტყობინების (საათით ადრე) და მისგან წერილობითი ნებართვის გარეშე.

5. საქართველოს რესპუბლიკა გამოცხადდეს მეომარ ქვეყნად და შემოღებულ იქნას საფეხურებრივად საგანგებო მდგომარეობა სატრანსპორტო მაგისტრალებზე, ძირითადად საწარმოებში, სტრატეგიულად მნიშვნელოვან საწარმოებში. საფეხურებრივად შემოღებულ იქნას სახელმწიფოს მიერ განაწილების უნიფიცირებული სისტემა პურისათვის, შაქრისათვის, ცხიმისათვის, საპნისათვის, საწვავისათვის, ჩვილთა საკვებისათვის, აგრეთვე პირველი აუცილებლობის სხვა საგნებისათვის.

6. დაევალოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი შეტყობინებით მიმართოს და აგრესიის წინააღმდეგ დახმარება სთხოვოს გაეროს და მის უშიშროების საბჭოს.

პროექტი დასაბეჭდად გადმოგვცა თავდაცვის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ

# რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?!.

შეიძლება? — კითხულობს შაოსანი მანდილოსანი და თან შემოჰყავს 8—9 წლის ყმაწვილი, — ქალბატონო, თუ შეიძლება ეს ბავშვი შეამოწმეთ, არ მასვენებს, გინდა თუ არა, მუსიკაზე მატარეო.

— შეგიძლია რამე მიმღერო?— ვეკითხები.

ბავშვი მღერის ხალხურ სიმღერებს. ისე კარგად, გაკვირვებული ვეკითხები, რომელიმე ანსამბლში ხომ არ მღეროდი — მეთქი. თურმე არსადაც არ ულია. ბუნებით დაჰყოლია ასეთი მუსიკალური ნიჭი. ლევანმა (ასე ერქვა ყმაწვილს) ხალხური საკრავების განყოფილებაზე სწავლა არჩია, ფანდურზე და სალამურზე დაკვრას მასწავლიანო.

დედამისს გავაცანი ჩვენი პირობები, ჯერ-ჯერობით 2.000 მანეთია გადასახადი წელიწადში, მომავალში ვერ ვიტყვით, რამდენი გახდება — მეთქი. ქალი დაღონდა. ბავშვმაც თვალები ძირს დახარა, სახე ნაღვლიანი გაუხდა. მამით ობოლი ყოფილა ლევანი, მამის პენსია და დედის ხელფასი, აბა, რას ეყოფოდა ორ ბავშვს.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ლუკმას ვართმევთ მასწავლებლები ბავშვს, თითქოს ჩვენ ვართ დამნაშავე რაღაცაში. არადა, კაცმა რომ თქვას, 2.000 მანეთი თითქოს სოლიდური თანხაა წელიწადში, მაგრამ სად შეუძლია ობოლ ბავშვს ამის გადახდა. არც ჩვენ, მასწავლებლები ვართ დალხინებულ ყოფაში. ეს 2.000 მანეთი რამდენიმე პედაგოგზე, დირექტორზე, ბუღალტერზე, სასწავლო ნაწილზე, ინსტრუმენტების ამწყობზე (სახელმწიფო გადასახადზეც რომ არაფერი ვთქვათ) ნაწილდება და რაღაც 750 — 800 მანეთს ძლივს თუ აღწევს ჩვენი ყოველთვიური ხელფასი. ამ თანხით კი თავის გატანა რომ არ შეიძლება, ყველას კარგად მოეხსენება.

ვიცით, ყველაფერი ჭირს დღეს და ისიც გვესმის, ამდენ მასწავლებლებს მთავრობა ვერ შეგვინახავს, მაგრამ რაღაც გამოსავალი მაინც უნდა მოიძებნოს, რომ სკოლებთან არსებულ ხელოვნების სტუდიებში ბავშვებმაც შეძლონ სწავლა და მასწავლებლებმაც აღებული ხელფასით თავის გატანა. სხვანაირად ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ მრავალ მომავალ ნიჭიერ ტალანტს დავკარგავთ და ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მოზარდ თაობას აქედანვე მოვაკლებთ იმ სულიერ საზრდოს, მთელი ცხოვრების გაზე საგზლად რომ უნდა გაჰყვეს.

იმედია, სათანადო ორგანოები ყურად იღებენ ჩვენს გასაჭირს და იზრუნებენ კიდეც, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს.

**ნატო ტყემალაძე**
თბილისის 182-ე საშუალო სკოლასთან არსებული ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე.

## ინფორმაცია

შეიქმნა სახალხო ფრონტთან არსებული ახალგაზრდა ეკონომისტთა კავშირი, რომლის ძირითადი მიზანია პერსპექტიული ახალგაზრდა ეკონომისტების თავმოყრა და დაკავშირება. მათთვის პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა. აგრეთვე აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოში მიმდინარე პროგრესიული ეკონომიკური რეფორმების სწრაფ და ეფექტურ განვითარებაში.

ყველა დაინტერესებულმა პირმა თანამშრომლობისათვის მოგვმართეთ საქართველოს სახალხო ფრონტის შტაბბინაში.

## განცხადება

1992 წლის 25 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა. დასაწყისი 13 საათზე.
მისამართი ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 5/7 (თავისუფლების მოედანი) მეორე სართული.

სსფ-ს საორგანიზაციო განყოფილება.



(დასაწყისი მე-6 გვერდზე)

# ერთი განცხადების შუქ-ჩრდილები

ფელიქს კოჭიაშვილი

თობები „უკიდურესად გამწვავებული" არ იყო (მაშ, 1989 წლის ივლისში და მის შემდგომ რა იყო?!), „ორმხრივი კომპრომისის შედეგად მიღებული დოკუმენტის" მიღებაც არ ყოფილა საჭირო!

საერთოდ, განცხადების ეს, „ჩრდილოვანი ნაწილი" უცნაურ ლოგიკაზეა აგებული. ისე უაპელაციოდ გვიმტკიცებენ, სახელმწიფო გადატრიალების მიერ დანგრეულმა ცენტრალურმა სტრუქტურებმა გამოაცალეს აფხაზეთის ორმხრივად მისაღებ სტატუსს საერთო-სახელმწიფოებრივი დასაყრდენიო, თითქოს. აფხაზურ მხარეს მანამდე სულ ამ სტრუქტურებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. ძალიან უწევდა ანგარიშს ცენტრალურ ხელისუფლებასა და სტრუქტურებს და თავისი მიღებულ-„მისაღები" სტატუსის საყრდენად ეს სტრუქტურები მიაჩნდა!

მსოფლიოში თუ არა, საქართველოში ხომ მაინც ვიცით, ეს ბოლო წლები „ის" მხარე ყველაფერს რომ აკეთებდა იმისათვის, რათა დაენგრია და-კიდეც „დაანგრია სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური სტრუქტურები" აფხაზეთში (სხვათა შორის, გადატრიალებამდელი ხელისუფლების დროსაც მშვენივრად ახერხებდა ამას; და მაშინაც არცთუ დიდი წვალებით აცალა და აცალა აღნიშნულ სტატუსს „საერთო-სახელმწიფოებრივი დასაყრდენი").

უნდა ითქვას, რომ „პოზიციის" ავტორები თითქმის ყველაფერში მხოლოდ ქართულ მხარეს ადანაშაულებენ, მთელ პასუხისმგებლობას მას აკისრებენ. ეს ტენდენცია შემდეგიდანაც სჩანს:

„ქართული დეპუტაციის უპასუხისმგებლო მოქმედებამ საბოლოოდ დაანგრია თვით აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლებაც: აფხაზეთში პოლიტიკური კატასტროფა დაიწყო იმით, **რომ ამ დეპუტაციამ დასტოვა აფხაზეთის უზენაესი საბჭო. ამან** ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზეთის ექსტრემისტულ ძალებს არძინბას მეთაურობით. შედეგი კი კატასტროფული გამოდგა".

ჯერ ერთი, გაუგებარია, „ქართული დეპუტაციის უპასუხისმგებლო მოქმედებამ" საბოლოოდ როგორ დაანგრია „თვით აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლებაც". მათს „უპასუხისმგებლო მოქმედებამდე" ეს ხელისუფლება ფაქტობრივად უკვე დანგრეული იყო (რასაკვირველია, ქართველობის საზიანოდ და აფხაზთა სასარგებლოდ).

რა, ამ დეპუტაციას რომ არ დაეტოვებინა უზენაესი საბჭო, არ დაიწყებოდა „პოლიტიკური კატასტროფა"?! (შიგნით რომ იყვნენ, რა გამოვიდა „რო"?!) ვითომ ამ დეპუტაციის წასვლამდე ძალიან ხელ-ფეხშეკრ... გრძნობდა თავს არძინბა?! ... თხის გაუმ... ... არ ... პრობლემის არსის დაყვანა ... პუტაციის ... „პოლიტ... მიზეზების ამგვარი „ახსნა"?!

განცხადებაში ამგვარი ... ქტიცაა:

„ეს პოლიტიკური ავანტ... რომელიც შეგნებულად თუ ... უგნებლად მიმართული იყო ... რთულ-აფხაზური ერთობის ... ნააღმდეგ, საბოლოოდ გაფო... და მას შემდეგ, რაც სახელმწ... საბჭოს შეიარაღებული ფორ... რებები შევიდნენ სოხუმში..."

როგორც ვხედავთ, სამწუ... როდ, ჯოხის, ამჯერადაც მხ... ლოდ ერთ, „აქეთა" მხარეზე ... დატეხა ხდება...

16 დეკემბერი, 1992 წ.



# გალაკტიონის უცნობი სურათები

ამ დღეებში ბევრი ითქვა და დაიწერა დიდ გალაკტიონ ტაბიძეზე. მინდა მკითხველს შევთავაზო გალაკტიონის უცნობი ფოტოები, რომლებიც გადმოგვცა ქ. ქუთაისის მკვიდრმა, დამსახურებულმა ინჟინერმა, ლიტერატურის დიდმა მოყვარულმა ლაზარე აბზიანიძემ, რომელმაც აღნიშნული ფოტოები თავად გადაუღო გენიოს პოეტს ცნობილი ქართველი მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის სახელოსნოში. ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილია თვით მოქანდაკე ბ. ავალიშვილი. იგი მარცხნიდან პირველი დგას პოეტის გვერდით. მოქანდაკის უკან კი გ. ტაბიძის ქანდაკებაა, ბ. ავალიშვილის მიერ დამზადებული. მკითხველ საზოგადოებას იმასაც შევახსენებ, რომ მოქანდაკე ბ. ავალიშვილის პორტრეტის მიხედვით შეიქმნა ცნობილი ქართველი პოეტის ბესიკ გაბაშვილის ფოტოსურათი. ასე რომ, ის სურათი, რომლითაც ჩვენ ბესიკ გაბაშვილს ვიცნობთ, სინამდვილეში ბიძინა ავალიშვილის პორტრეტია. სურათზე აღბეჭდილი დანარჩენი ორი პიროვნების ვინაობა ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება მეორე სურათს, დიდი პოეტი აქაც მოქანდაკის სახელოსნოშია აღბეჭდილი. იგი ზის და ყურადღებით ათვალიერებს მისივე ქანდაკებას, რომლის შესახებ განმარტებას აძლევს მოქანდაკე ბ. ავალიშვილი. დანარჩენ ორ ფოტოს, ალბათ, კომენტარი არ სჭირდება.

გენიალური მოაზროვნისა და შემოქმედის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული არცერთი ნიუანსი არ უნდა დაეკარგოს შთამომავლობას. სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით აღნიშნული ფოტოსურათების გამომზეურებისას.

ავთანდილ ასათიანი
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდ...









# ალეკო ხვადაგიანი

ერთი წელი გავიდა უშენოდ. 21 დეკემბერი იყო...

„ალეკო მოკლესო!".. — გავოგნდით. არ დავიჯერეთ მაშინ. არც ახლა გვჯერა... გზივართ, მივჩერებივართ ერთმანეთს, ცრემლები გვახრჩობს, ვიხსენებთ ყველაფერს, ყოველ წვრილმანს და თითქოს ისევ ჩვენთან ხარ, გვესმის შენი ხმა, შენი სიცილი... ასე კარგი, ასე საოცრად კარგი რომ იყავი, იმიტომაც გაგწირეს, გაგიმეტეს ასე, იმიტომ დაგახალეს ზურგში რვა ტყვია, თითქოს ეშინოდათ, ნაკლებით ვერ მოგერეოდნენ...

ცხრამეტის იანვარში გახდებოდი. უნდა ვიქეიფოთო ჩვიდმეტ იანვარს, იმ წყეულ დღემდე სულ ცოტა ხნით ადრე გვითხარი. აღარ დაგვცალდა...

სუფრაზე წასულების სადღეგრძელოს მოაყოლე ერთხელ:

საიქიოში ბაბუა და შვილიშვილი იყვნენო ერთად. ბაბუა ბიჭს ყოველდღე დოქით აგზავნიდა ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად. ერთ დღეს ბავშვი ხელც... რიელი დაბრუნდა. წუთისოფელ... ჩვენს მოსაგონარს აღარ სვამენ და იმ... ტომ გათავდაო ღვინო ქვევრში, — ბაბ... ას უთქვამს...

იმის მერე სუფრა ისე არ ჩაივლ... ჩვენთან, ეს ამბავი რომ არ გავიხსენო... სანამ ჩვენ ვიქნებით, შენს ქვევრში ღვ... ნო არ დაილევა.

გვაკლიხარ. რომ იცოდე, როგო... გვაკლიხარ...

გვენატრები.

მეგობრები

ინდექსი 66447
ფასი 5 მან.
რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ: რედაქტორი 93-20-36, მოადგილის 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
გაზეთი იწყობა კომპიუტერზე მსოფლიო ლაბორატორიის საქართველოს განყოფილებაში 1991 წლის დეკემბრიდან
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი